საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საკონკურსო კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ქ. ბათუმი. ლ. ასათიანის ქ. №37

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 10/01

ბათუმი

15 თებერვალი, 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 1-2 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის" მე-15 და 25[4] მუხლების შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის შექმნისა და ვაჟა ცეცხლაძის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" 2021 წლის 6 ოქტომბრის N37 ბრძანებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2023 წლის 14 თებერვლის N6 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის (შემდგომში-საკონკურსო კომისია) წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 6 (ექვსი) წევრით: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და 4 (ოთხი) წევრი.

2. საკონკურსო კომისიის წევრები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზურაბ ჭურკვეიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) ბაკურ ბოლქვაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი - საკონკურსო კომისიის წევრი;

გ) გელა ღოღობერიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების უფროსი - საკონკურსო კომისიის წევრი;

დ) მანანა ჯორბენაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - საკონკურსო კომისიის წევრი;

ე) ირაკლი ქუთათელაძე - საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე - საკონკურსო კომისიის წევრი.

3. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატში ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული შიდა კონკურსის ჩატარება, შესაბამისი პროცედურების განხორციელება და მონაწილე კანდიდატის შერჩევა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით არაუგვიანეს 2023 წლის 15 მარტისა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ვაჟა ცეცხლაძე